

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2022 წლის 3 ივნისი

ქ. ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილებაში. (www.matsne.gov.ge 18/01/2018, 010250050.35.167.016358).

მუხლი 2

დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართში შეიცვალოს მე-7 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის დასახელება, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	მოხელის თანამდებობათა რანგები	თანამდებობის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1	I რანგი	აპარატის უფროსი – საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	2530
ადმინისტრაციული განყოფილება				
2	II რანგი	ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი – საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1760
3	III რანგი	რეფერენტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1100
4	III რანგი	მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოებისა და საკანცელარიო საკითხების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	990



საორგანიზაციო განყოფილება				
5	II რანგი	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი – საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1760
6	III რანგი	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო საკითხების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1210
7	III რანგი	ადამიანური რესურსების მართვის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1210

..

